დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს
2024 წლის 30 ოქტომბრის N11 სხდომის
გადაწყვეტილებით

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია

1. ეს წესი განსაზღვრავს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგეტის დაგეგმვის მექანიზმებს და მეთოდოლოგიას.
2. უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხორციელდება თითოეული აკადემიური პროგრამის მიხედვით.
3. თითოეულ პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი პარამეტრები:

   A = არსებული (აქტიური) სტუდენტების რაოდენობა;

   O = დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობა + კურსდამთავრებულების რაოდენობა;

   X = მისაღები სტუდენტების რაოდენობა;

   Y = სტატუსაღდგენილი სტუდენტების რაოდენობა - სტატუსშეწყვეტილი სტუდენტების რაოდენობა - სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა;

   M = მობილობა (შემოსული სტუდენტების რაოდენობა)-მობილობა (გასული სტუდენტების რაოდენობა);

   N = აკადემიური პერსონალის რაოდენობა+მოწვეული პერსონალის რაოდენობა ერთი სემესტრის განმავლობაში.

კოეფიციენტის (K) გაანგარიშება ხდება შემდეგი ფორმულით:

$$K = ((A_1+A_2)-(O_1+O_2)+X+(Y_1+Y_2)+ (M_1+M_2)/2N$$

სადაც:

- ინდექსები 1 ან 2 აღნიშნავს შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებს. (მაგ: A_1 არის შემოდგომის სემესტრში, ხოლო A_2 - გაზახულის სემესტრში აქტიური სტუდენტების რაოდენობები);
- O_1 აღნიშნავს შემოდგომის სემესტრში კურსდამთავრებულების რაოდენობას, ხოლო O_2 - გაზაფხულის სემესტრში დამამთავრებელი სტუდენტების რაოდენობას;
- X აღნიშნავს მთელი აკადემიური წლის განმავლობაში მისაღები სტუდენტების რაოდენობას.

ფორმულიდან გამომდინარე, X მისაღები სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრისთვის:

$$X = 2K*N - (A_1+A_2) - (O_1+O_2) - (Y_1+Y_2) - (M_1+M_2)$$

4. საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას პროგრამებისთვის (გარდა სამართლის, ბიზნესის და ადმინისტრირების და მოგზაურობის, ტურიზმის და დასვენების მიმართულებების პროგრამებისა) გათვალისწინებულია 1 პროფესორი არაუმეტეს 70 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 2 პროფესორისა თითოეულ პროგრამაზე (ორივე პროფესორის კვალიფიკაცია ან/და კვლევითი პროფილი უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას), ხოლო სწავლის სფეროების მიხედვით სტუდენტებსა და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობაა არანაკლებ:

სწავლის სფერო	**სტუდენტების/აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა**
სოციოლოგია და კულტურის კვლევები	1/17
პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები	1/17
ფსიქოლოგია	1/25
ინტერდისციპლინური (მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას)	1/17
რელიგია და თეოლოგია	1/17
ისტორია და არქეოლოგია	1/17 1/12 (არქეოლოგია)
ფილოსოფია და ეთიკა	1/17
ინტერდისციპლინური (მოიცავს ხელოვნებასა და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს)	1/17
ენის დაუფლება	1/15
ლიტერატურა და ლინგვისტიკა	1/15
სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება	1/15
მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება	1/15
სახვითი ხელოვნება	1/20
გამოყენებითი ხელოვნება	1/20
ბიოლოგია	1/15
გარემოსმცოდნეობა	1/12
ფიზიკა	1/12
დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები	1/12
მათემატიკა	1/18
არქიტექტურა და ქალაქდაგეგმარება	1/25
პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი	1/14
ელექტრონიკა და ავტომატიზაცია	1/14
ინჟინერია და საინჟინრო საქმე – არაკლასიფიცირებული	1/14
მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია	1/14

5. საბაკალავრო-სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას პროგრამისთვის გათვალისწინებულია 1 პროფესორი არაუმეტეს 70 სტუდენტზე, არანაკლებ 2 პროფესორისა თითოეულ პროგრამაზე (ორივე პროფესორის კვალიფიკაცია ან/და კვლევითი პროფილი უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას), ხოლო სწავლის სფეროს მიხედვით სტუდენტებსა და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობაა არანაკლებ:

სწავლის სფერო	**სტუდენტების/აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა**
მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით	1/15

6. სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას პროგრამებისთვის (გარდა სამართლის, ბიზნესის და ამინისტრირების და მოგზაურობის, ტურიზმის და დასვენების მიმათულებების პროგრამებისა) გათვალისწინებულია 1 პროფესორი არაუმეტეს 40 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 3 პროფესორისა თითოეულ პროგრამაზე (მინიმუმ ორი პროფესორის კვალიფიკაცია ან/და კვლევითი პროფილი უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას).

7. საბაკალავრო საფეხურზე სამართლის მიმართულების პროგრამებისთვის გათვალისწინებულია 10 პროფესორი 1000 სტუდენტზე; 17 პროფესორი 2000 სტუდენტზე (რომელთაგან მინიმუმ 10 პროფესორის კვალიფიკაცია ან/და კვლევითი პროფილი უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას), ხოლო სწავლის სფეროს მიხედვით სტუდენტებსა და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობაა არანაკლებ:

სწავლის სფერო	**სტუდენტების/აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა**
სამართალი	1/17

8. სამაგისტრო საფეხურზე სამართლის მიმართულების პროგრამებისთვის გათვალისწინებულია 1 პროფესორი არაუმეტეს 40 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 2 პროფესორისა თითოეულ პროგრამაზე (რომელთა კვალიფიკაცია ან/და კვლევითი პროფილი უნდა შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ კვალიფიკაციას).

9. საბაკალავრო საფეხურზე ბიზნესის და ადმინისტრირების და მოგზაურობის, ტურიზმის და დასვენების მიმართულებების პროგრამებისთვის გათვალისწინებულია 10 პროფესორი პირველ 1000 სტუდენტზე, 8 პროფესორი - ყოველ შემდეგ 1000 სტუდენტზე, ხოლო სწავლის სფეროების მიხედვით სტუდენტებსა და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობაა არანაკლებ:

სწავლის სფერო	**სტუდენტების/აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა**
მენეჯმენტი და ადმინისტრირება	1/25
ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა	1/25
მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება	1/35

10. სამაგისტრო საფეხურზე ბიზნესის და ადმინისტრირების და მოგზაურობის, ტურიზმის და დასვენების მიმართულებების პროგრამებისთვის გათვალისწინებულია 1 პროფესორი არაუმეტეს 40 სტუდენტზე, მაგრამ არანაკლებ 2 პროფესორისა თითოეულ პროგრამაზე.

11. სადოქტორო საფეხურის ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მინიმუმ 5 შესაბამისი სფეროს აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი, ან/და ასოცირებული პროფესორი.

12. სტუდენტების კონტინგენტის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია პოტენციური ხელმძღვანელების რაოდენობა ისე, რომ სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე ერთ პოტენციურ ხელმძღვანელს ჰყავდეს ერთდროულად არა უმეტეს 8 სტუდენტისა, ჯამურად. ამასთანავე, თანაფარდობა ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის არ უნდა აღემატებოდეს 1:3-ს. დასაშვებია ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის 1:5 თანაფარდობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნაშრომის წარდგენის მიზნით. ხელმძღვანელისა და დოქტორანტის თანაფარდობა შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს სამეცნიეროგრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე.

13. პროგრამაში სტაჟირების/პრაქტიკის კომპონენტის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტების კონტინგენტის დაგეგმვისას უნდა იყოს გათვალისწინებული პარტნიორ ორგანიზაციებში/კომპანიებში სტაჟირებისთვის/ პრაქტიკისთვის ხელმისაწვდომი ადგილების რაოდენობა.

14. პროგრამებზე, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული/სტუდიური კურსები, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას უნდა იყოს გათვალისწინებული ლაბორატორიის/ სტუდიის მაქსიმალური დატვირთვის მაჩვენებელი, რომლის გაანგარიშებისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი პარამეტრები:

    C - ლაბორატორიის/სტუდიის მაქსიმალური საათიბრივი დატვირთვა (დღეში);

    St - ლაბორატორიაში/სტუდიაში ადგილების/სადგურების რაოდენობა;

    N - ლაბორატორიაში/სტუდიაში თითო ადგილზე/სადგურზე სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა;

    Ch - ერთ სტუდენტზე საკონტაქტო საათების რაოდენობა (თითო ლექციისთვის/კურსისთვის).

ლაბორატორიაში/სტუდიაში დღეში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობის (v) გაანგარიშება ხდება შემდეგი ფორმულით:

v = C×St×N/Ch

მაგ., იმ შემთხვევაში, თუკი ლაბორატორიამ შეიძლება იმუშაოს დღეში 10 საათის განმავლობაში, მასში ადგილების/სადგურების რაოდენობა არის 16, ხოლო თითო სადგურზე/ადგილზე შეიძლება იმუშაოს ერთმა სტუდენტმა, სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, რომელმაც შეიძლება გამოიყენოს ეს ლაბორატორია 1 დღის განმავლობაში, იქნება: $v = 10\times16\times1/3=87$.

14[1] პროგრამებში, რომლებშიც გამოყენებულია რამდენიმე ლაბორატორია/სტუდია, სტუდენტების კონტინგენტი დგინდება იმ ლაბორატორიის/სტუდიის მიხედვით, რომელშიც სადგურების/ადგილების რაოდენობა ყველაზე მცირეა.

15. პროგრამებში, რომლებშიც გათვალისწინებულია ლაბორატორიული/სტუდიური კურსები, სტუდენტების კონტინგენტის გაანგარშება ხდება მე-3 და მე-14 პუნქტებში მითითებული გაანგარიშების წესებით განსაზღვრულ მაჩვენებელთაგან უმცირესის საფუძველზე.

16. პროგრამებში, რომლებშიც გათვალისწინებულია პრაქტიკის/სტაჟირების კომპონენტი, სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას უნდა იყოს გათვალისწინებული პრაქტიკის/სტაჟირებისთვის ხელმისაწვდომი ადგილების რაოდენობა.

17. პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემით გათვალისწინებული სწავლებისა და კვლევისთვის დადგენილი საათობრივი დატვირთვა.

18. პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ხდება ფაკულტეტის /სკოლის მიერ.

19. პროგრამაზე/პროგრამებზე მისაღებ სტუდენტთა დაგეგმილ რაოდენობებს ფაკულტეტი/სკოლა აწვდის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საბაკალავრო, სამაგისტრო და ინტეგრირებულ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურზე მიღებისა და მობილობის გამოცხადების ვადების გათვალისწინებით;

20. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აკადემიურ საბჭოს წარუდგენს ინფორმაციას მე-19 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების შესახებ.

21. სტუდენტთა მიღებისა და მობილობის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება.